ჰორიზონტი ოდნავ ღელავს

ჰორიზონტი ოდნავ ღელავს შემოდგომის მკრთალი სხივით,
და სცვივიან ხეს ფოთლები მომაკვდავი პეპლებივით…

ყვითელ ფოთლით მოიფარა ხეივანი, ბილიკები.
თეთრი ნისლით შეიმოსა ცად აწვდილი შორი მთები.

ობლადა სდგას მონასტერი, სადაც თავი შეაფარე,
სადაც ციურ ფიქრთა ნისლში, მიატოვე ცოდვათ მხარე.

მაგრამ მე ვერ დაგივიწყე, კვლავ მიყვარხარ ძველი ვნებით.
იმავ სულით, იმავ ფიქრით, იმავე თავდავიწყებით.

ჰორიზონტი ოდნავ ღელავს შემოდგომის მკრთალი სხივით
ცა სცვივიან ხეს ფოთლები მომაკვდავი პეპლებივით!